საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

09.12.2024

N 2052

2052-09-02-11-3-
202412091422

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტზე

მიმდინარე წლის 9 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი _ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი.
აღნიშნული კანონის პროექტი უმაღლეს საბჭოს წარედგინა 2024 წლის 5 დეკემბერს (უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან გამომდინარე), ვადაში.

მიმოხილვა და ანალიზი

1. **შემოსულობების კუთხით:**

2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში მოხდა რიგი ცვლილებები შემოსულობების კომპონენტის ნაწილში.
შემოსულობების გეგმა (**850 100.0** ათასი ლარი, I წარდგენა) იზრდება **30 000.0** ათასი ლარით და განისაზღვრა - **880 100.0**ათასი ლარის ოდენობით (II წარდგენა), რომელიც განპირობებულია საშემოსავლო გადასახადის გეგმის (30 000,0 ათასი ლარი) ზრდით.

იხილეთ ცხრილი:

დასახელება	2025 წელი I წარდგენა	2025 წელი II წარდგენა I წარდგენასთან			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი
	ბიუჯეტი	შემცირება	ზრდა	სულ	

შემოსულობები	**850 100.0**	**0.0**	**30 000.0**	**30 000.0**	**880 100.0**
გადასახადები	**630 000.0**		30 000.0	**30 000.0**	**660 000.0**
სხვა შემოსავლები	**25 100.0**			**0.0**	**25 100.0**
არაფინანსური აქტივების კლება	**115 000.0**			**0.0**	**115 000.0**
ნაშთის ცვლილება	**80 000.0**			**0.0**	**80 000.0**

2. გადასახდელების კუთხით:

კანონის პროექტის მიხედვით დასაგეგმი 2025 წლის გადასახდელების გეგმა (I წარდგენა) **850 100.0** ათასი ლარი იზრდება **30 000.0** ათასი ლარის ოდენობით და გეგმა განისაზღვრა **880 100.0** ათასი ლარის ოდენობით (II წარდგენა).

დასახელება	2025 წელი I წარდგენა	2025 წელი II წარდგენა I წარდგენასთან			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი
	ბიუჯეტი	შემცირება	ზრდა	სულ	
გადასახდელები	**850 100.0**	**4 115.0**	**34 115.0**	**30 000.0**	**880 100.0**

ა) 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადამუშავებულ პროექტში ასიგნებები მხარჯავი უწყებებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით მეტწილად გაიზარდა შემდეგი უწყებების დაფინანსება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს - 543,0 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს - **5 559.1 ათასი ლარით,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს - **3 000.1 ათასი ლარით.**

ცვლილება არ მომხდარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები.

იხილეთ ცხრილი უწყებებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით:

კოდი	დასახელება	2025 წელი I წარდგენა	2025 წელი II წარდგენა I წარდგენასთან			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი
		ბიუჯეტი	შემცირება	ზრდა	სულ	
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	**9 570.6**		543.0	**543.0**	**10 113.6**
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	**1 605.1**			**0.0**	**1 605.1**
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	**6 308.5**		98.0	**98.0**	**6 406.5**

04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	**144 060.4**	**150.0**	**5 709.1**	**5 559.1**	**149 619.6**
	ფინანსთა სამინისტრო (ბულვარის, ტურიზმისა და გზების გარეშე)	**46 651.0**		3 503.5	**3 503.5**	**50 154.5**
	ბულვარი	**13 950.5**		20.6	**20.6**	**13 971.1**
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**20 459.0**	100.0	135.0	**35.0**	**20 494.0**
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი	**63 000.0**	50.0	2 050.0	**2 000.0**	**65 000.0**
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	**151 000.0**	251.9	3 252.0	**3 000.1**	**154 000.0**
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	**65 500.0**	1 213.1	1 213.1	**0.0**	**65 500.0**
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	**36 820.6**	2 500.0	2 500.0	**0.0**	**36 820.6**

ბ) საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების კუთხით ასიგნებების გადანაწილება

- წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების დაფინანსების გეგმა იზრდება - **20 799.8** ათასი ლარის ოდენობით და გეგმამ შეადგინა **456 034,6** ათასი ლარი **. მათ შორის:**

- თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება იზრდება **14 000,0** ათასი ლარის ოდენობით, რომელიც შემდეგი სახით გადანაწილდა თვითმმართველ ერთეულებზე:

დასახელება	2025 წელი I წარდგენა	2025 წელი II წარდგენა I წარდგენასთან			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი
	ბიუჯეტი	შემცირება	ზრდა	სულ	
თვითმმართველი ერთეულების ფინანსური დახმარება. მათ შორის :	**330 787.5**	**0.0**	**14 000.0**	**14 000.0**	**344 787.5**
ბათუმის კაპტრანსფერი	**127 341.0**		5 000.0	**5 000.0**	**132 341.0**
ქობულეთის კაპიტალური ტრანსფერი	**28 900.0**		3 200.0	**3 200.0**	**32 100.0**
ხელვაჩაურის კაპიტალური ტრანსფერი	**25 124.5**		5 000.0	**5 000.0**	**30 124.5**
ქედის კაპიტალური ტრანსფერი	**7 150.0**			**0.0**	**7 150.0**
შუახევის კაპიტალური ტრანსფერი	**10 550.0**			**0.0**	**10 550.0**
ხულოს კაპიტალური ტრანსფერი	**12 473.9**			**0.0**	**12 473.9**
ბათუმის სპეციალური ტრანსფერი	**99 659.0**			**0.0**	**99 659.0**

ქობულეთის სპეციალური ტრანსფერი	**11 100.0**		800.0	**800.0**	**11 900.0**
ხელვაჩაურის სპეციალური ტრანსფერი	**2 038.0**			**0.0**	**2 038.0**
ქედის სპეციალური ტრანსფერი	**2 100.0**			**0.0**	**2 100.0**
შუახევის სპეციალური ტრანსფერი	**1 500.0**			**0.0**	**1 500.0**
ხულოს სპეციალური ტრანსფერი	**2 851.1**			**0.0**	**2 851.1**

- სს"აჭარის წყლის ალიანსის" დაფინანსება გაიზარდა **6 679.8** ათასი ლარის ოდენობით და გეგმამ შეადგინა **19 679,8** ათასი ლარი.

უმაღლესი საბჭოს მიერ ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველად ვარიანტზე გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები. მთავრობის მიერ გათვალისწინებულია შენიშვნების ნაწილი (იხილეთ დანართი „ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების თაობაზე“).

გადაწყვეტილება:

კომიტეტი მხარს უჭერს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტისა და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტს და თვლის, რომ ბიუჯეტის კანონის პროექტი წარდგენილ იქნას უმაღლესი საბჭოს ბიუროზე.

მარინე გვიანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო